

გლობალური ქცევის კოდექსი მესამე მხარეებისთვის

2018 წლის მარტი



სარჩევი

შესავალი	
განსაზღვრებები	2
გამოხატვის თავისუფლება	3
წინამდებარე კოდექსთან, კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან შესაბამისობა ..	3
შემოწმება და მონიტორინგი	3
PwC-ის საქმიანობის სანდოობა	
დამოუკიდებლობა.....	4
ინტერესთა კონფლიქტი და სენსიტიური სიტუაციები	4
სამართლიანი კონკურენცია	5
კორუფციასთან და მექრთამეობასთან ბრძოლა	5
ეკონომიკური დანაშაული და ფულის გათეთრება	6
ინსაიდერული გარიგებები/ვაჭრობა	6
სანქციები და ექსპორტის კონტროლი.....	6
ურთიერთნდობის მოპოვება	
დაქირავებისა და დასაქმების პრაქტიკა.....	7
ხელფასები და სამუშაო საათები.....	7
მესამე მხარეების ურთიერთკავშირი პერსონალთან	8
ბავშვთა შრომა	8
ტრეფიკინგი და თანამედროვე მონობა	8
ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	8
გაერთიანების თავისუფლება	8
ნდობის მოპოვება საზოგადოებაში	
გაერთიანების თავისუფლება	9
ინფორმაციის გამოყენება	
კონფიდენციალურობა და მონაცემთა დაცვა	10
ინტელექტუალური საკუთრება	10
IT უსაფრთხოება	10
სოციალური მედია	11
წინამდებარე კოდექსის აღიარება	



შესავალი

PwC აღიარებულია გლობალურ ლიდერად პროფესიონალური სერვისების მიწოდების სფეროში, რომელიც მუშაობს მსოფლიოს ბევრ ცნობილ ორგანიზაციასთან. PwC-ის მიზანია საზოგადოებაში ნდობის მოპოვება და მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარება.

PwC მოქმედებს ეთიკის, პროფესიული სტანდარტების, კანონმდებლობის, რეგულაციების, შიდა პოლიტიკის და შემდეგი ძირითადი ღირებულებების ფარგლებში:



კეთილსინდისიერი მოქმედება

- გამოთქვით აზრი სიმართლის დასაცავად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს რთულია.
- გქონდეთ მოლოდინი და მიაღწიეთ უმაღლესი ხარისხის შედეგებს.
- სიფრთხილით მიიღეთ გადაწყვეტილებები და იმოქმედეთ რეპუტაციის დაცვით.



მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა

- იყავით ინფორმირებული და დასვით კითხვები მომავლის შესახებ.
- მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეთ ჩვენს კოლეგებთან, კლიენტებთან და საზოგადოებასთან ერთად.
- მოახდინეთ სწრაფი და ეფექტური რეაგირება ცვალებად გარემოზე, რომელშიც მუშაობთ.



ზრუნვა

- შეეცადეთ გაითვალისწინოთ თითოეული ადამიანის აზრი, თუ რა არის მნიშვნელოვანი მათთვის.
- დააფასეთ თითოეული ადამიანის ღირებული წვლილი.
- დაეხმარეთ სხვებს ზრდაში ისე, რომ მათ გამოავლინონ შესაძლებლობების მაქსიმუმი.



გუნდური მუშაობა

- ითანამშრომლეთ და ერთმანეთს გაუზიარეთ ურთიერთობები, იდეები და ცოდნა.
- ეძებეთ და ინტეგრირება მოახდინეთ მრავალფეროვანი ადამიანების და იდეების.
- გაეცით და მიიღეთ რეკომენდაციები საკუთარი თავის და სხვების გასავითარებლად.



შესაძლებლობების ხელახლა გააზრება

- ნუ შეუშინდებით სიახლეებს, გაბედეთ და შეცვალეთ.
- შეიტანეთ სიახლეები, ისწავლეთ შეცდომებზე.
- ყველა იდეაში დაინახეთ შესაძლებლობები.

PwC გაეროს გლობალური შეთანხმების (UNGC) ხელმძღვანელია და ამ შეთანხმების 10 საბაზისო პრინციპის ერთგულია. ეს პრინციპები ასახულია წინამდებარე ქცევის კოდექსში.

PwC ქცევის კოდექსი მესამე მხარეებისთვის (“კოდექსი”) განმარტავს საქმისადმი ერთგულების და საქმიანობის წარმოების იმ მინიმალურ სტანდარტებს, რომლის დაცვასაც PwC მესამე მხარეებისგან მოელის. PwC მესამე მხარეებისგან ასევე მოელის საქმისადმი იგივე დამოკიდებულებას მათი პერსონალისგან და მათ მიერ დაქირავებული მხარეებისგან.

PwC აღიარებს, რომ ქცევის არცერთ კოდექსს არ შეუძლია დაარეგულიროს ყველა სიტუაცია, რომლის წინაშეც მესამე მხარე შეიძლება აღმოჩნდეს. აქედან გამომდინარე, წინამდებარე კოდექსი არ წარმოადგენს საქმიანობის სათანადოდ წარმართვისთვის მათი ანგარიშვალდებულების და პასუხისმგებლობის ამომწურავ დოკუმენტს. მესამე მხარეებისთვის რეკომენდებულია PwC-თვის ან მასთან ერთად გაწეულ მომსახურებაზე დანიშნული პასუხისმგებელი პირისგან დამატებითი სახელმძღვანელო მითითებების და მხარდაჭერის მიღება.

განსაზღვრებები

მესამე მხარე/მესამე მხარეები

საწარმოები (მათ შორის მათი პერსონალი*) ან ქვე-კონტრაქტორი ფიზიკური პირები, PwC-თვის ან მასთან ერთად მომუშავე, ან პირები, რომლებიც PwC-ის აწვდიან საქონელს ან მომსახურებას.

* პერსონალი: მესამე მხარის თანამშრომლები ან ქვეკონტრაქტორები.

გამოხატვის თავისუფლება

ჩვენი სტანდარტი

PwC ცდილობს გაუმკლავდეს პოტენციურ დარღვევებს და დაიცვას მისი პარტნიორები / ხელმძღვანელები და პერსონალი იმ უკურეაქციისგან, რაც შეიძლება მოყვეს პრობლემის შესახებ განცხადების გაკეთებას.

როგორ ეხება ეს მესამე მხარეებს

PwC მესამე მხარეებისგან ნებისმიერი პრობლემის შესახებ, რომელიც PwC-ის საქმიანობასთან (მათ შორის მომსახურების ან PwC-თვის საქონლის მიწოდებაზე), ამ კოდექსის, კანონმდებლობის, რეგულაციების და ეთიკური თუ პროფესიული სტანდარტების პოტენციურ დარღვევასთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას, კეთილსინდისიერ განცხადებას მოელოს.

თუ კანონით არ არის აკრძალული, PwC მესამე მხარეებისგან ამ კოდექსთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ შეტყობინებას ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებით მოელოს:

- PwC-თვის ან მასთან ერთად მესამე მხარეების მომსახურება(ები)ზე პასუხისმგებელი პირების მეშვეობით;
- PwC-ში არსებული შესაბამისი არხების მეშვეობით;
- PwC-ის გლობალური ეთიკისა და შესაბამისობის „დახმარების ხაზთან“ დაკავშირების მეშვეობით ვებგვერდზე pwc.com/ethics.

პრობლემების შესახებ განცხადება ანონიმურია.

PwC მესამე მხარეებისგან მოელოს მათი პერსონალის ინფორმირებულობას იმის შესახებ, რომ არ დაისჯებიან თუ კეთილსინდისიერად განაცხადებენ პრობლემას.

PwC განიხილავს/გამოიძიებს აღნიშნულ პრობლემებს და მესამე მხარეებს მართვისა და გამოძიებისთვის გადასცემს, საჭიროებისამებრ.

წინამდებარე კოდექსთან, კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან შესაბამისობა

მესამე მხარეები შესაბამისობაში უნდა იყვნენ ადგილობრივ და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, რეგულაციებთან და წინამდებარე კოდექსთან. თუ რომელიმე კანონი ან რეგულაცია ამ კოდექსზე მეტად შემზღვეველია, ასეთ შემთხვევაში უპირატესი ის კანონი ან რეგულაცია იქნება.

PwC მესამე მხარეებისგან მოელოს ამ კოდექსთან შესაბამისობაში მოსასვლელად საჭირო იმ პოლიტიკის, პროცედურების და სწავლების დანერგვას, რომლებსაც მესამე მხარე საჭიროდ ჩათვლის.

შემოწმება და მონიტორინგი

ჩვენი სტანდარტი

PwC ვალდებულია მონიტორინგი გაუწიოს შიდა სტანდარტებთან და პოლიტიკასთან შესაბამისობას. სტანდარტებთან და პოლიტიკასთან შესაბამისობა PwC წარმატების მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ჩვენი სტანდარტი

PwC მოელოს, რომ მესამე მხარეები დანერგავენ პროცესებს და კონტროლს, რომელიც ამ კოდექსთან შესაბამისობას უზრუნველყოფს.

საჭიროების შემთხვევაში, PwC ატარებს რისკებზე დაფუძნებულ შემოწმებას მესამე მხარის მიმართ, და ეს განიხილება, როგორც მესამე მხარეებთან ურთიერთობის შეფასების ნაწილი. PwC მესამე მხარეებისგან მოელოს სრული და ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას მოთხოვნისთანავე PwC-ის მიერ შემოწმების განხორციელებისას.

თუ PwC განსაზღვრავს, რომ მესამე მხარე არღვევს წინამდებარე კოდექსს, მან შეიძლება მესამე მხარეს მოთხოვოს გამოსწორების გეგმის აღსრულება ან, გარკვეულ შემთხვევებში, შეუძლია შეაჩეროს ან შეწყვიტოს ურთიერთობა მესამე მხარესთან.



PwC-ის საქმიანობის სანდოობა

დამოუკიდებლობა

ჩვენი სტანდარტი

PwC რეგულირებად სფეროში მუშაობს და მოსალოდნელია, რომ ის შესაბამისობაში უნდა იყოს მოქმედ კანონმდებლობასთან და ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებთან და ვალდებულებებთან, რომლებიც საჭიროა მარწმუნებელი გარიგების დამკვეთებთან მიმართებაში დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის. PwC პრევენციას ახდენს და რეაგირებს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას მის დამოუკიდებლობას. საქმისადმი ერთგულებისა და ფუნდამენტური ობიექტურობის დაცვა მნიშვნელოვანია ყველა პროფესიული მომსახურების გაწევისას, ხოლო მარწმუნებელი გარიგების მომსახურების გაწევისას დამოუკიდებლობა ეხმარება ამ პრინციპების დაცვაში.

PwC დამოუკიდებლობას განსაზღვრავს, როგორც ისეთი ურთიერთობებისგან ან ინტერესებისგან თავისუფლებას, რომელიც ზიანს აყენებს ან შეიძლება ზიანი მიაყენოს PwC-ის ობიექტურობას მარწმუნებელი გარიგების განხორციელებისას.

როგორ ეხება ეს მესამე მხარეებს

შესაძლებელია წარმოიშვას ისეთი გარემოებები, როდესაც მესამე მხარეებს დასჭირდებათ PwC-ის დამოუკიდებლობის სტანდარტთან შესაბამისობაში მოსვლა. ეს დამოუკიდებელი იქნება PwC-თან მესამე მხარეების ურთიერთობის შინაარსზე. PwC მესამე მხარეებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე რჩევებს მისცემს.

PwC მოთხოვნის მიხედვით, მესამე მხარეები შესაბამისობაში უნდა იყვნენ და განახორციელონ პერსონალის ინფორმირება დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან შესაბამისობის პასუხისმგებლობის შესახებ.

ინტერესთა კონფლიქტი და სენსიტიური სიტუაციები

ჩვენი სტანდარტი

PwC ცდილობს გამოავლინოს და რეაგირება მოახდინოს ფაქტობრივ და პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტებსა და სენსიტიურ სიტუაციებზე, რომლებიც შესაძლებელია წარმოიშვას საქმიანობის წარმოებისას მომსახურების დაწყებამდე ან გაგრძელებამდე.

PwC ინტერესთა კონფლიქტს განსაზღვრავს, როგორც ნებისმიერ გარემოებას, რომელსაც PwC-ის საქმიანობის ან მის მიერ მომსახურების გაწევისას შეუძლია ექვემდებარება PwC-ის შესაძლებლობა იმოქმედოს ობიექტურად. PwC განსაზღვრავს სენსიტიურ სიტუაციას, როგორც ნებისმიერ გარემოებას, რომელსაც PwC-თვის სერიოზული კომერციული, რეპუტაციული თუ კლიენტთან ურთიერთობის პრობლემის შექმნა შეუძლია.

როგორ ეხება ეს მესამე მხარეებს

თუ მესამე მხარე შეიტყობს ფაქტობრივი ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის ან სენსიტიური სიტუაციის შესახებ, რომელსაც შეუძლია რაიმე სახით გავლენა მოახდინოს PwC-თვის გაწეულ ან მასთან ერთად შესრულებულ სამუშაოზე, ამის შესახებ, დროულად უნდა აცნობოს PwC-ის.

გარემოებებიდან გამომდინარე, მესამე მხარეებს შეიძლება მოეთხოვოთ მიიღონ სათანადო ზომები ინტერესთა კონფლიქტის ან სენსიტიური სიტუაციის მართვის მიზნით.

სამართლიანი კონკურენცია

ჩვენი სტანდარტი

PwC სამართლიანი კონკურენციის ერთგულია და მისთვის მიუღებელია ანტიკონკურენციული საქმიანობა რაიმე ფორმით.

როგორ ეხება ეს მესამე მხარეებს

მესამე მხარეებმა, ინდივიდუალურად თუ სხვა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებთან ერთად, თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი უსამართლო კონკურენციისგან მოქმედი ანტიმონოპოლიური და კონკურენციის კანონმდებლობის და რეგულაციების შესაბამისად. კერძოდ, მესამე მხარემ არ უნდა გააფორმოს ისეთი შეთანხმება, ფორმალურად თუ არაფორმალურად, რაც არაკანონიერად შეზღუდავს კონკურენციას; დააწესებს ფასებს, კომპენსაციებს ან სარგებელს; გაანაწილებს კლიენტებს, ბაზრებს, ადამიანებს და მომსახურებას PwC-თვის ან მისი სახელით ან სხვაგვარად PwC-თან კავშირში ან ნებისმიერ ურთიერთობაში.

კორუფციასთან და მექრთამეობასთან ბრძოლა

ჩვენი სტანდარტი

PwC-თვის მიუღებელია ნებისმიერი სახის კორუფცია და მექრთამეობა. პირდაპირ, თუ მესამე მხარეების მეშვეობით ქრთამის მიღება, შეთავაზება, დაპირება, გადახდა თუ ქრთამის გადაცემის შუამავლობა ან ფორმალურობის გაადვილების მიზნით სხვა არასათანადო გადახდების განხორციელება მკაცრად აკრძალულია.

PwC კორუფციას განსაზღვრავს, როგორც არასათანადო გადახდებს ან სხვა მოტივაციას, უკანონო/კრიმინალურ ქცევას, მინიჭებული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას პირადი სარგებლისთვის ან არასათანადო უპირატესობის მინიჭებას.

PwC მექრთამეობას განსაზღვრავს, როგორც ფულის, საჩუქრის ან რაიმე ღირებულის (მათ შორის არაფულადი ღირებულების მაგ. სტაჟირების ან ტრენინგის) შეთავაზებას, მიცემას, მიღებას ან შუამავლობას. სხვა მოტივაციის ან სარგებლის გამო რაიმე არაკანონიერის, არაეთიკურის, არასათანადოს, ნდობის რღვევის ან მიმღების განსჯისა თუ გადაწყვეტილების მიღებაზე კორუფციული გავლენის მოხდენისთვის შექმნილ ვითარებას. PwC ფორმალურობების გაადვილების მიზნით თანხის გადახდას განსაზღვრავს, როგორც მოქმედი ან ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის ნებისმიერი ღირებულების (მცირედისაგ კი) ნაღდი ფულით ან ნატურით გადახდას, იმ რუტინული ფუნქციების შესრულებისთვის, რომლის შესრულებაც სამსახურებრივად ევალებათ (მაგ. ნებართვების, ლიცენზიების, ვიზების, ფოსტის ან კომუნიკაციების მოპოვების დაჩქარება).

როგორ ეხება ეს მესამე მხარეებს

როდესაც სამუშაო ხორციელდება PwC-თვის ან მასთან ერთად, მესამე მხარეები არ უნდა ჩაერთონ კორუფციაში, მექრთამეობაში ან ნებისმიერ სხვა ქმედებაში (რაც მოიცავს არასათანადო გადახდებს), რამაც შეიძლება გამოიწვიოს კორუფციასა და მექრთამეობაში ჩართვა. ეს მოიცავს PwC-თვის ან მისი სახელით, ფორმალურობის გაადვილების მიზნით, გადახდებს ან შეღავათიანი პირობების შეთავაზებას ან მიღებას, რაც შესაძლოა აღქმული იყოს, როგორც ქრთამი.

მესამე მხარეებმა არ უნდა მიიღონ ან გასცენ რაიმე სახის საჩუქრები ან შეღავათები მოქმედი თუ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების(გან)თვის ან კომერციული მხარეების(გან)თვის, PwC-თვის ან მისი სახელით, PwC-გან წინასწარი თანხმობის მიღების გარეშე.

ეკონომიკური დანაშაული და ფულის გათეთრება

ჩვენი სტანდარტი

PwC-თვის მიუღებელია ეკონომიკური დანაშაული, მათ შორის ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსება.

PwC განსაზღვრავს ეკონომიკურ დანაშაულს, როგორც ფინანსური თუ ეკონომიკური სარგებლის მოტანის მიზნით განხორციელებულ უკანონო ქმედებებს. PwC განსაზღვრავს ფულის გათეთრებას, როგორც პროცესს, რომლის მეშვეობითაც უკანონო ქმედებებიდან მიღებული სარგებელი ისეა შენიღბული, თითქოს ისინი კანონიერი წყაროებიდანაა მიღებული. ეს მოიცავს შემოსავლების დამალვას, შეძენას, გამოყენებას და მსგავსი შემოსავლების ფლობას ან მსგავსი შემოსავლების შეძენის, გამოყენების, დაკავების ან კონტროლის უზრუნველყოფას.

როგორ ეხება ეს მესამე მხარეებს

მესამე მხარეებმა არ უნდა განახორციელონ რაიმე სახის მომსახურების მიწოდება ან გააფორმონ ისეთი შეთანხმება, რომელიც ხელს უწყობს PwC-ის პირდაპირ ან ირიბად ეკონომიკურ დანაშაულში ჩაბმას, მათ შორის ფულის გათეთრებაში. მესამე მხარეებმა არ უნდა მიმართონ რაიმე სახის თანხები უკანონო ქმედებისაკენ ან მხარი დაუჭირონ უკანონო ქმედებებს რაიმე სახით (მაგ. ტერორიზმი, გადასახადებისთვის თავის არიდება, თაღლითობა).

ინსაიდერული გარიგებები / ვაჭრობა

ჩვენი სტანდარტი

PwC-თვის მიუღებელია შიდა ინფორმაციით ვაჭრობა ან მისი არასათანადო გამჟღავნება.

PwC განსაზღვრავს შიდა ინფორმაციას, როგორც საწარმოს შესახებ ინფორმაციას (მაგ. ფინანსური პროგნოზები, შერწყმისა და შესყიდვის შესახებ შეთავაზებები და მთავარი ხელმძღვანელი პირების ცვლილებები), რომელიც არ გასაჯაროებულა. შიდა ინფორმაცია შეიძლება ნებისმიერი წყაროდან მოდიოდეს, არა მხოლოდ PwC-დან.

როგორ ეხება ეს მესამე მხარეებს

მესამე მხარეები არ უნდა ჩაერთონ ინსაიდერულ ვაჭრობაში, ინსაიდერულ გარიგებაში, არასათანადო შესყიდვაში ან შიდა ინფორმაციის გამჟღავნებაში, მიუხედავად იმისა, ეს ინფორმაცია PwC-თვის ან მასთან ერთდა მუშაობისას არის მოპოვებული თუ არა. მესამე მხარემ, რომელიც ფლობს კომპანიის შიდა ინფორმაციას არ უნდა შეისყიდოს ან გაყიდოს ამ კომპანიის ფასიანი ქაღალდები.

სანქციები და ექსპორტის კონტროლი

ჩვენი სტანდარტი

PwC არ ახდენს და მხარს არ უჭერს სხვა მხარის მიერ მოქმედი ეკონომიკური სანქციების და ექსპორტის კონტროლის კანონმდებლობისა და რეგულაციების დარღვევას.

როგორ ეხება ეს მესამე მხარეებს

მესამე მხარეები შესაბამისობაში უნდა იყვნენ მოქმედი ეკონომიკური სანქციებთან, ექსპორტის კონტროლის კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან. თავი უნდა აარიდონ ისეთ ქმედებებს, რომელიც მათ და PwC-ის მოქმედი ეკონომიკური სანქციების და ექსპორტის კონტროლის დამრღვევის მდგომარეობაში ჩააყენებს.



ურთიერთდობის მოპოვება

PwC მესამე მხარეებისგან საერთაშორისოდ დეკლარირებული ადამიანის უფლებების და სტანდარტების შესაბამის სამუშაო პირობებს მოელოს, რასაც ასევე ითვალისწინებს ადამიანის უფლებების საერთაშორისო დეკლარაციის და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (“ILO”) მიერ შემუშავებული სამუშაოზე ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების დეკლარაციაში ჩამოთვლილი ფუნდამენტური უფლებები.

დაქირავებისა და დასაქმების პრაქტიკა

ჩვენი სტანდარტი

PwC ვალდებულია უზრუნველყოს ყველასათვის თანაბარი დასაქმების შესაძლებლობა.

როგორ ეხება ეს მესამე მხარეებს

მესამე მხარეებმა არ უნდა განასხვავონ არცერთი პირი დაქირავების და დასაქმებისას. ეს მოიცავს დისკრიმინაციას რასის, ეთნოსის, კანის ფერის, ასაკის, სქესის, სქესობრივი იდენტობის ან გამოხატვის, სექსუალური ორიენტაციის, პოლიტიკური რწმენის, მოქალაქეობის, ეროვნული წარმომავლობის, რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობების, მშობლის სტატუსის, ეკონომიკური/კლასობრივი სტატუსის, ვეტერანის სტატუსის ან ნებისმიერი სხვა დაცული სტატუსის ან მახასიათებლის საფუძველზე, რომელიც არ არის დაკავშირებული პირად დამსახურებასთან ან ამ პოზიციისთვის შიდა მოთხოვნებთან.

ხელფასები და სამუშაო საათები

ჩვენი სტანდარტი

PwC ვალდებულია დაიცვას სახელფასო, სამუშაო საათების და ზეგანაკვეთური შრომის მოქმედი ნორმები და რეგულაციები.

როგორ ეხება ეს მესამე მხარეებს

მესამე მხარეებმა უნდა განსაზღვრონ სამუშაო საათები, ხელფასები და ზეგანაკვეთური ანაზღაურება იმ ქვეყნის/ქვეყნების მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად, სადაც ისინი საქმიანობენ.

მესამე მხარეებმა, სულ მცირე, მოქმედი სახელფასო მინიმუმი მაინც უნდა გადაიხადო. PwC მესამე მხარეებისგან მოელოს თავიანთი საქმიანობა განხორციელონ ზეგანაკვეთური სამუშაოს შემცირებით, ჰუმანური და პროდუქტიული სამუშაო პირობების დაცვით.

მესამე მხარეების ურთიერთკავშირი პერსონალთან

ჩვენი სტანდარტი

PwC ვალდებულია უზრუნველყოს უსაფრთხო და არადისკრიმინაციული სამუშაო გარემო.

როგორ ეხება ეს მესამე მხარეებს

მესამე მხარეებმა უნდა უზრუნველყონ სამუშაო გარემო, რომელიც თავისუფალია შეურაცხმყოფელი, ძალადობრივი, მუქარის შემცველი, წესრიგის დამრღვევი და სხვა არასათანადო ქცევისგან. მათთვის მიუღებელი უნდა იყოს შევიწროება და სხვა უპატივცემულო ქცევა, მათ შორის სექსუალური შევიწროება, დისკრიმინაცია და ჩაგვრა.

ბავშვთა შრომა

ჩვენი სტანდარტი

PwC ეწინააღმდეგება და მისთვის მიუღებელია ბავშვთა შრომის რაიმე ფორმა.

როგორ ეხება ეს მესამე მხარეებს

მესამე მხარეებმა არ უნდა გამოიყენონ ბავშვთა შრომა და უნდა დაიქირაონ ისეთი თანამშრომლები, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონით განსაზღვრულ შრომისათვის მინიმალური ასაკის მოთხოვნებს იმ ქვეყანაში/ქვეყნებში, სადაც ისინი საქმიანობას ეწევიან.

ტრეფიკინგი და თანამედროვე მონობა

ჩვენი სტანდარტი

PwC ეწინააღმდეგება და მისთვის მიუღებელია ტრეფიკინგი და თანამედროვე მონობის ნებისმიერი ფორმა.

როგორ ეხება ეს მესამე მხარეებს

მესამე მხარეები არ უნდა მონაწილეობდნენ ან მხარს უჭერდნენ ტრეფიკინგს, ან თანამედროვე მონობას, მათ შორის იძულებით, არანებაყოფლობით და მავალდებულებელ შრომას.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

ჩვენი სტანდარტი

PwC უზრუნველყოფს ჯანსაღ და უსაფრთხო სამუშაო გარემოს, რომელიც საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებების შესაბამისია.

როგორ ეხება ეს მესამე მხარეებს

მესამე მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციის შესაბამისად.

მესამე მხარეებმა მინიმუმამდე უნდა დაიყვანონ ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკები, რეაგირება მოახდინონ სამუშაო ადგილზე მომხდარ ნებისმიერ ინციდენტთან დაკავშირებით და უზრუნველყონ პერსონალი ადეკვატური დამცავი აღჭურვილობით.

გაერთიანების თავისუფლება

ჩვენი სტანდარტი

PwC -ის პარტნიორებს/დირექტორებს და თანამშრომლებს უფლება აქვთ კანონის ფარგლებში გაერთიანდნენ ან შეუერთდნენ ორგანიზაციებს მათი საკუთარი შეხედულებისამებრ მშვიდობიანი მიზნით.

როგორ ეხება ეს მესამე მხარეებს

PwC მესამე მხარეებისგან მოელის, რომ ისინი მათ თანამშრომლებს ნებას დართავენ კანონის ფარგლებში გაერთიანდნენ და შეუერთდნენ ორგანიზაციებს მათი საკუთარი შეხედულებისამებრ მშვიდობიანი მიზნით.



ნდობის მოპოვება საზოგადოებაში

გარემოსდაცვითი საკითხების მართვა

ჩვენი სტანდარტი

PwC ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს მისი საქმიანობის პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენა ეკოლოგიაზე და აუმჯობესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას.

როგორ ეხება ეს მესამე მხარეებს

PwC მესამე მხარეებისგან მოელის გამოავლინონ და მართონ მათი ორგანიზაციების გავლენა ეკოლოგიაზე. PwC მოელის, რომ მესამე მხარეები მინიმუმამდე დაიყვანენ ნახშირორჟანგის ემისიების გამოყოფას და ჩაერთვებიან გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ხელშეწყობის, ნარჩენების ეფექტური მართვის და ბუნებრივი რესურსების ეფექტური გამოყენების ინიციატივებში.



ინფორმაციის გამოყენება

კონფიდენციალურობა და მონაცემთა დაცვა

ჩვენი სტანდარტი

PwC პატივს სცემს პერსონალური ინფორმაციისა და კლიენტების, პარტნიორების/დირექტორების, თანამშრომლების და სხვა პირების, ვისთანაც ახორციელებს საქმიანობას, ან მათთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას. PwC იცავს პერსონალურ და სხვა კონფიდენციალურ ინფორმაციას ყველა ფორმით.

როგორ ეხება ეს მესამე მხარეებს

მესამე მხარეებს პერსონალური მონაცემების და კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების და გამოყენების უფლება, რომელიც მოპოვებულია PwC-თან მათი ურთიერთობის პროცესში, მხოლოდ PwC-ის ნებართვით და მისი მითითებით გააჩნიათ და მხოლოდ ისე, როგორც ამას მოქმედი კანონმდებლობა და რეგულაციები მოითხოვს.

მესამე მხარეებმა უნდა დაიცვან პერსონალური მონაცემები და კონფიდენციალური ინფორმაცია არამართლზომიერი და უკანონო გამოყენების, გამჟღავნების, წვდომის, დაკარგვის, ცვლილების შეტანის, დაზიანების და განადგურებისგან.

ინტელექტუალური საკუთრება

ჩვენი სტანდარტი

PwC ვალდებულია დაიცვას ინტელექტუალური საკუთრება და პატივი სცეს სხვის ინტელექტუალურ საკუთრებას.

როგორ ეხება ეს მესამე მხარეებს

PwC მოელის, რომ მესამე მხარეები პატივს სცემენ PwC-ის და სხვათა ინტელექტუალურ საკუთრებას. ეს ნიშნავს, რომ, მაგალითად, მესამე მხარე არ გამოიყენებს PwC-ის ინტელექტუალურ საკუთრებას უფლებამოსილების მინიჭების გარეშე. PwC-თან დაკავშირებული სამუშაოს შესრულებისას არც სხვა მხარეების მიერ არალიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის ან ტექნოლოგიების გამოყენება არის მისაღები.

IT უსაფრთხოება

ჩვენი სტანდარტი

PwC ვალდებულია დაიცვას მისთვის მინდობილი ინფორმაცია, ასევე ფიზიკური და IT აქტივები, ინფორმაციის უსაფრთხოების კონტროლის შემუშავებისა და განხორციელების გზით.

როგორ ეხება ეს მესამე მხარეებს

მესამე მხარეებმა უნდა გამოიყენონ უსაფრთხოების დაცვის საშუალებები, რომლებიც აკმაყოფილებენ PwC-ის ინფორმაციის შენარჩუნებასა და დაცვას, მათ შორის ფიზიკურ და ელექტრონულ აქტივებს, რომლებიც მოპოვებულია PwC-გან, PwC-ის კლიენტებისგან, ან სხვა მესამე მხარეებისგან.

სოციალური მედია

ჩვენი სტანდარტი

PwC ვალდებულებას იღებს პასუხისმგებლობით გამოიყენოს სოციალური მედია პლატფორმები და თავაზიანად და პატივისცემით მოეკიდოს ონლაინ საჯარო კომუნიკაციებს.

როგორ ეხება ეს მესამე მხარეებს

PwC მესამე მხარეებისგან მოელის თავი შეიკავონ უპატივცემულო, არაპროფესიონალური, შეურაცხმყოფელი, შემარცხვენილი, დისკრიმინაციული და აკრძალული ქმედებებისგან სოციალურ მედია პლატფორმებზე. მესამე მხარეებმა არ უნდა იმოქმედონ ან ისაუბრონ PwC-ის სახელით, არ უნდა წარადგინონ თავი როგორც PwC, არ უნდა გამოხატონ PwC-თან ასოცირებული ხედვები, თუ ეს პირდაპირ ნებადართული არ იქნება PwC-ის მიერ.

წინამდებარე კოდექსის აღიარება

მესამე მხარეები, რომლებიც მუშაობენ PwC-თვის ან მასთან ერთად და მისი კლიენტებისთვის და არიან წინამდებარე კოდექსის მიმღებები, თანხმდებიან:

- დაიცვან წინამდებარე კოდექსით დადგენილი მოთხოვნები და მოლოდინები;
- უზრუნველყონ სრულყოფილი და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება PwC-ის მიერ მესამე მხარეების შემოწმების შემთხვევაში; და
- შესაბამისობაში იყვნენ იმ ქვეყნების მოქმედ კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან, სადაც ახორციელებენ საქმიანობას.

pwc.com/thirdpartycodeofconduct

© 2018 PwC. ყველა უფლება დაცულია.

ამ კოდექსში გამოიყენება ტერმინები "PwC", "ჩვენი" და "ჩვენ", კოლექტიურად ან ურთიერთშემცვლელად: (i) ინდივიდუალური PwC პარტნიორების / დირექტორებისა და პერსონალის ჩათვლით, ან (ii) წევრი ფირმების ქსელის ჩათვლით. ფრანსუოთერჰაუსკუპერსი ინტერნეიშენელ ლიმიტედი, რომელთან თითოეული ცალკე და დამოუკიდებელი იურიდიული პირია. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.pwc.com/structure.

336647-2017 JP